



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

კავკასიის უნივერსიტეტი

ბანკოთმკობის სტრატეგიული გეგმა

2014-2020 წწ.

შინაარსი

შესავალი.....	4
აკადემიური პროგრამები	5
თავი I - კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების სტრატეგიული გეგმები.....	9
1. კავკასიის ბიზნესის სკოლის 2014-2020 განვითარების სტრატეგიული გეგმა	9
2. კავკასიის სამართლის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა	13
3. კავკასიის მედიის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა	19
4. კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა	22
5. კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა.....	24
6. კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა.....	25
7. კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა.....	29
8. კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის 10 აკადემიური პერსონალის გაგზავნა ტარტუს პარნუს კოლეჯში დისტანციური სწავლების ინოვაციური მეთოდის ასათვისებლად (2015 წლის იანვარი). 7. კავკასიის ტურიზმის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა.....	31
9. კავკასიის ტურიზმის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა.....	32
10. კავკასიის ტურიზმის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა.....	38
11. კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა	42
თავი II - კავკასიის უნივერსიტეტის მატერიალური რესურსის მიმოხილვა	45

თავი III- კავკასიის უნივერსიტეტის მონაწილეობით განხორციელებული და მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროექტები	47
თავი IV - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები	49
თავი V ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	50
თავი VI აკადემიური პროგრამები და მათი განვითარება	51
თავი VII საერთაშორისო ურთიერთობები და ინტეგრაცია.....	52
თავი VII ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა.....	53
კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის წევრები.....	54

შესავალი

კავკასიის უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით ჩამოყალიბებული კერძო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კავკასიის უნივერსიტეტის წესდების და შინაგანაწესის საფუძველზე. უნივერსიტეტს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საკუთარი დროშა, ჰიმნი და სხვა სიმბოლოები, ანგარიშსწორების ანგარიში ბანკებში და კერძო იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

კავკასიის უნივერსიტეტის მისიაა კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უნივერსიტეტის დევიზია „მტუდიუმ პრეტიუმ ლიბერტატეს“- „ცოდნა თავისუფლების საწინდარია“.

უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამების შესაბამისად კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის აკადემიური ხარისხებს.

კავკასიის უნივერსიტეტმა 2009 წლის 30 დეკემბერს ხუთი წლის ვადით მიიღო სახელმწიფო ინსტიტუციური აკრედიტაცია. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრმა გაუსაზღვრა სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობი ქვოტა - 3355-ით. კავკასიის უნივერსიტეტმა 2012-2013 წლებში პროგრამული აკრედიტაციის მიზნით წარადგინა ახალი და ძირეულად მოდიფიცირებული პროგრამები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებში. უნივერსიტეტმა 2013 წლიდან განაახლა და დაადგინა აკადემიური პროგრამებისა და სილაბუსების შიდა სტანდარტი, ასევე განაახლა საუნივერსიტეტი და შიდა სასკოლო მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები. 2009 -2014 წლებში უნივერსიტეტმა სასწავლო პროცესის ხელშეწყობისა და სტუდენტთა და პროფესორმასწავლებელთა საერთაშორისო მობილობის გაუმჯობესების მიზნით თანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედია ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებთან, საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, კოლეჯებთან, მნიშვნელოვანწილად გააფართოვა საერთაშორისო თანამშრომლობის პარტნიორი უნივერსიტეტების წრე. 2009 წლიდან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების რაოდენობა 170-ია, მათ შორის მიმდინარე საუნივერსიტეტო მემორანდუმების რაოდენობა 80 აღემატება.

2009-2014 წლებში კავკასიის უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა, სტრუქტურულად და პროგრამულად განავითარა და სტუდენტთა მიღება განახორციელა რვა სკოლაში: კავკასიის ბიზნესის სკოლა, კავკასიის სამართლის სკოლა, კავკასიის მედიის სკოლა, კავკასიის

ტექნოლოგიების სკოლა, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა, კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ-მეცნიერებათა სკოლა, კავკასიის ტურიზმის სკოლა, კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლა.

ქვეყნისა და საერთაშორისო დონეზე უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების შესაბამისად, ასევე პერიოდული თვითშეფასებების შედეგებზე დაყრდნობით კავკასიის უნივერსიტეტი ახდენს სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლებას რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტის მისიისა და ამოცანების შესაბამისობა მუდმივად ცვალებად გარემოსთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

კავკასიის უნივერსიტეტის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. მიზნის მისაღწევად ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდების, ანახლებს სასწავლო მასალებს, კომპიუტერულ ტექნიკას, ხელს უწყობს ინოვაციების დანერგვას სწავლა-სწავლების პროცესში. სასწავლო პროცესის ეფექტრად წარმართვისათვის აძლიერებს ადამიანურ რესურსს და ოპტიმალურად იყენებს მათ სამეცნიერო პოტენციალის განვითარებისთვის.

წინამდებარე 2014-2020 წლების კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა ახასავეს მიზნით განპირობებული აქტივობების შესრულებისა და მოსალოდნელი შედეგების მიღწევის გზებს თითოეული სკოლისა და შემადგენელი დეპარტამენტების მიხედვით.

აკადემიური პროგრამები

კავკასიის უნივერსიტეტის რვა სკოლა 2013-2014 სასწავლო წელს ახორციელებს 49 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის 27 საბაკალავროს, 15 სამაგისტროს და 5 სადოქტორო პროგრამას.

2013-2014 სასწავლო წლისთვის კავკასიის უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები:

ბაკალავრიატში 20 პროგრამა:

1. ბიზნესის ადმინისტრირება
2. ბიზნესის ადმინისტრირების ორმაგი ხარისხი
3. ბიზნესის ადმინისტრირების საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში

4. სამართლის პროგრამა
5. საბაკალავრო პროგრამა ინფორმატიკაში
6. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
7. საჯარო მმართველობა
8. ინგლისური ფილოლოგია
9. ევროპის მცოდნეობა
10. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ტურიზმში
11. ამერიკის მცოდნეობა (მილვეადი)
12. არქეოლოგია
13. ისტორიის საბაკალავრო პროგრამა
14. ფსიქოლოგია
15. სოციოლოგია
16. სოციალური მუშაობა და ადამიანური რესურსების მართვა-დამატებითი სპეციალობა სოციალურ მუშაობაში
17. კინომცოდნეობის დამატებითი სპეციალობა
18. მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა
19. აუდიო-ვიზუალური ხელოვნება
20. ჯანდაცვის მენეჯმენტი

მაგისტრატურაში 18 პროგრამა:

1. ბიზნესის ადმინისტრირების
2. მეცნიერების სამაგისტრო მენეჯმენტში
3. ბიზნესის ადმინისტრირების ორმაგი ხარისხი
4. სამართალი
5. სისხლის სამართლის (მილევადი)
6. კერძო ბიზნეს სამართალი (მილევადი)
7. საჯარო სამართალი (მილევადი)
8. საერთაშორისო სამართალი (მილევადი)
9. საზოგადოებრივი ჯანდაცვის
10. ჯანდაცვის მენეჯმენტი
11. ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის პროგრამა
12. დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
13. საჯარო მმართველობა
14. ევროპის მცოდნეობა
15. მედიაკომუნიკაციის სოციოლოგია
16. სტრატეგიული კომუნიკაციები
17. სამაგისტრო პროგრამა ტურიზმში

18. ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია

დოქტორანტურაში 3 პროგრამა:

1.სამართალი

2.ბიზნესის ადმინისტრირება

3.ეკონომიკა

თავი I - კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების სტრატეგიული გეგმები

1. კავკასიის ბიზნესის სკოლის 2014-2020 განვითარების სტრატეგიული გეგმა

ზოგადი

კავკასიის ბიზნესის სკოლის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს შვიდწლიან პერიოდს და განსაზღვრავს სკოლის განვითარების გზას 2014-2020 წლებისთვის. ამ დოკუმენტში მოყვანილი განვითარების მიმართულებები, მიზნები და ამოცანები დაფუძნებულია კავკასიის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა (2014-2020) და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე (2014-2020).

კავკასიის ბიზნესის სკოლის მისია

კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაა კვლევაზე დაფუძნებული სწავლებისა და სწავლის მეშვეობით მოამზადოს მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, გლობალურ ასპარეზზე კონკურენტუნარიანი, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გამზარებელი ბიზნესის სფეროს პროფესიონალები, რომელთაც ექნებათ სფეროს თეორიული ცოდნა და კვლევითი თუ პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ძირითადი ღირებულებები

ლოკალურ და საერთაშორისო ბიზნეს საზოგადოებასთან სიახლოვე - ჩვენ გვსურს პარტნიორობა, როგორც ლოკალურ, ასევე საერთაშორისო ბიზნეს საზოგადოებასთან, რათა შევქმნათ და გავავრცელოთ რელევანტური ცოდნა ბიზნესის მართვის სხვადასხვა მიმართულებით.

ინოვაციური სულისკვეთება - ჩვენ გვსურს მუდმივად შევთავაზოთ საზოგადოებას, მის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებული, ახალი აკადემიური თუ პროფესიული პროგრამები და, შესაბამისად, მოდიფიკაცია გაუკეთოთ არსებულს.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - ჩვენ გვსურს ისეთი ცოდნა მივცეთ საქართველოს საზოგადოების წევრებს, რომ მათი საქმიანობით განვითარდეს ქვეყნის სხვადასხვა ბიზნეს-სექტორი და გაიზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

მიზნები

მიზანი 1 - კავკასიის ბიზნესის სკოლამ მიაწოდოს საზოგადოებას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამები ლოკალური და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების გზით.

შემდეგი *ამოცანების* მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 1-ის მიღწევა

1ა. - საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული აკრედიტაციის მიღება ბიზნესის სკოლის ყველა პროგრამაზე.

ამოცანის შესრულების საზომი: აკრედიტაციის მიღება 2014 წელს.

1ბ. - კავკასიის ბიზნესის სკოლის ინსტიტუციონალური ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციის (CEEMAN) რეაკრედიტაციის (IQA) გავლა.

ამოცანის შესრულების საზომი: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციის (CEEMAN) რეაკრედიტაციის (IQA) პროცესის დაწყება 2014 წლის შემოდგომის სემესტრში და დამთავრება 2014 წლის 30 ივნისამდე.

1გ. - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამების ასოციაციის (AMBA) აკრედიტაციის მიღება.

ამოცანის შესრულების საზომი: ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამების ასოციაციის (AMBA) აკრედიტაციის პროცესის დაწყება 2014 წლის შემოდგომის სემესტრში და მიღება 2018 წლის 30 დეკემბრამდე.

1დ. - კავკასიის ბიზნესის სკოლის ინსტიტუციონალური ბიზნეს ინსტიტუტების განვითარების ასოციაციის (AACSB) აკრედიტაციის მიღება.

ამოცანის შესრულების საზომი: ბიზნეს ინსტიტუტების განვითარების ასოციაციის (AACSB) აკრედიტაციის პროცესის დაწყება 2015 წლის გაზაფხულის სემესტრში და მიღება 2020 წლის 30 დეკემბრამდე.

1ე. - კავკასიის ბიზნესის სკოლის საბაკალავრო პროგრამის საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობისთვის სერთიფიცირებული ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) აკრედიტაციის მიღება.

ამოცანის შესრულების საზომი: სერთიფიცირებული ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) აკრედიტაციის პროცესის დაწყება 2014 წლის შემოდგომის სემესტრში და მიღება 2017 წლის 30 დეკემბრამდე.

მიზანი 2 - საქართველოში შექმნას გლობალური ბიზნეს განათლების სტანდარტი მსოფლიოში წამყვან უნივერსიტეტებთან სწავლებისა და კვლევის გამოცდილების გაზიარების გზით.

შემდეგი *ამოცანების* მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 2-ის მიღწევა

2ა. - აკადემიური პერსონალის მობილობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.

ამოცანის შესრულების საზომი: სემესტრში ერთხელ კავკასიის ბიზნესის სკოლის ერთი აკადემიური პერსონალი ორი კვირდან ერთ სემესტრის ვადით მივლინებული უნდა იყოს პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლებისა ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.

2ბ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტიდან აკადემიური პერსონალის მობილობას კავკასიის უნივერსიტეტში, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ კავკასიის უნივერსიტეტი სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.

ამოცანის შესრულების საზომი: სემესტრში ერთხელ კავკასიის ბიზნესის სკოლის პარტნიორი უნივერსიტეტის ერთი აკადემიური პერსონალი ორი კვირდან ერთ სემესტრის ვადით მოწვეული უნდა იყოს კავკასიის უნივერსიტეტში სწავლებისა ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.

2გ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტების მობილობის უზრუნველყოფა.

ამოცანის შესრულების საზომი: ყოველ სემესტრში კავკასიის ბიზნესის სკოლის 15 სტუდენტის მივლინება პარტნიორი უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. ყოველ სემესტრში პარტნიორი უნივერსიტეტიდან 5 სტუდენტის მიღება კავკასიის ბიზნესის სკოლაში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

2დ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმაგი ხარისხის ან/და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა.

ამოცანის შესრულების საზომი: კავკასიის ბიზნესის სკოლაში სამი ორმაგი ხარისხის ან/და ერთობლივი პროგრამის ფუნქციონირება.

2ე. - კავკასიის ბიზნესის სკოლის საზღვარგარეთის კამპუსის (ფილიალის) გახსნა, სადაც კავკასიის ბიზნესის სკოლის პროგრამები ისწავლება.

ამოცანის შესრულების საზომი: პირველი ასეთი კამპუსის (ფილიალის) გახსნა 2015 წლის შემოდგომის სემესტრისთვის.

მიზანი 3 - აკადემიური პროგრამების მეშვეობით შესძინოს სტუდენტებს შესაბამისი პროგრამებით გაწერილი ცოდნა, კომპეტენციები და ღირებულებები, რომელთა საშუალებითაც მოხდება მათი კეთილსინდისიერი მოქალაქეებად და პროფესიონალებად ჩამოყალიბება.

შემდეგი *ამოცანების* მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 2-ის მიღწევა

3ა. - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

ამოცანის შესრულების საზომი: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი უნდა იყოს 85%-ზე მეტი.

3ბ. - სახემლწიფოსათვისა და ბიზნეს გარემოსთვის აქტუალური, საჭირო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება.

ამოცანის შესრულების საზომი:

- აგრობიზნესის სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება 2015 წლის შემოდგომის სემესტრისთვის.
- აგრობიზნესის პროფესიული პროგრამების შეთავაზება 2015 წლის შემოდგომის სემესტრისთვის.
- სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება 2015 წლის შემოდგომის სემესტრისთვის.
- წყლის მართვის სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება 2016 წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.
- წყლის მართვის პროფესიული პროგრამების შეთავაზება 2015 წლის შემოდგომის სემესტრისთვის.

2. კავკასიის სამართლის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა

ზოგადი

კავკასიის სამართლის სკოლის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს შვიდწლიან პერიოდს და განსაზღვრავს სკოლის განვითარების გზას 2014-2020 წლებისთვის. ამ დოკუმენტში მოყვანილი განვითარების მიმართულებები, მიზნები და ამოცანები დაფუძნებულია კავკასიის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა (2014-2020) და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე (2014-2020).

კავკასიის სამართლის სკოლის მისია

კავკასიის სამართლის სკოლის მისიაა დროის გამოწვევების შესაბამისი, კვლევაზე დაფუძნებული სწავლებისა და სწავლის მეშვეობით ღრმა სამართლებრივი ცოდნის მქონე, სავსე პირობებზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარების მქონე, ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, კონკურენტუნარიანი სამართალმცოდნეების ახალი თაობის აღზრდა და იურისპრუდენციის სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო დაკვეთის მაქსიმალური დაკმაყოფილება.

კავკასიის სამართლის სკოლის საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინსტიტუციონალურ დონეზე აკადემიური პროგრამების რელევანტურობის უზრუნველყოფა;
- სასწავლო რესურსების მობილიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობის ხარისხის ამაღლების, არჩევითობის პრინციპის გამოყენების, სტუდენტთა შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისა და ინტერდისციპლინური მიდგომის გზით სასწავლო პროცესის დინამიური სრულყოფა;
- წამყვან უნივერსიტეტებთან ერთად ორმაგი ხარისხის საბაკალავრო/ სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების განხორციელება;
- სტუდენტთა და ლექტორთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისება;
- სადოქტორო პროგრამის საფუძველზე მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებლების მომზადება და საკუთარი სამეცნიერო-პედაგოგიური რესურსის სწავლების პროცესში გამოყენება;
- შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების და შემდგომში მათი კარიერული წინსვლის ხელშეწყობა;
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტიზა უცხოელი და ადგილობრივი სპეციალისტების მიერ;
- ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციის გაუმჯობესება ინსტიტუციურ და ეროვნულ დონეზე;

- იურიდიული პროფილის საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებში გაწევრიანება და შესაბამისად სკოლის ცნობადობის ხარისხის ამაღლება.

კავკასიის სამართლის სკოლა:

- აყალიბებს სკოლის სტრატეგიული განვითარების პროგრამას;
- ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო აკადემიურ პროგრამებს და სწორი მენეჯმენტის მეშვეობით უზრუნველყოფს მათ სრულყოფას საქართველოში და საერთაშორისო მასშტაბით არსებული მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით;
- სწავლების ფორმებს შორის უპირატესად აღიარებს ინტერაქტიურ, პრაქტიკაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს;
- უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს;
- აწესებს აუცილებელ სტანდარტებს ინგლისური ენის ცოდნის კუთხით;
- უპირატეს ყურადღებას ანიჭებს სამეცნიერო კვლევას და ამ სახის საგრანტო პროექტებში მონაწილეობას;
- კონკურსის საფუძველზე ახდენს მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის შერჩევას და დასაქმებას;
- უზრუნველყოფს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას და ინოვაციური გარემო პირობების შექმნას;
- აწარმოებს ლექტორების, სტუდენტების, კურსდამათავრებულებისა და დამსაქმებლების აზრის მუდმივ გამოკითხვას;
- უზრუნველყოფს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- აფორმებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, ასევე იურიდიულ კომპანიებთან;
- პრიორიტეტულ ყურადღებას ანიჭებს “იურიდიული კლინიკების” საქმიანობის გამრავალფეროვნებას, მათ განვითარებასა და დახვეწას;
- მაქსიმალურად უწყობს ხელს სტუდენტთა მონაწილეობას გაცვლით პროგრამებსა და საზაფხულო სკოლებში;
- ყოველმხრივ უჭერს მხარს იმიტირებული სასამართლო პროცესების გამართვას და მასში სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას;
- ხელს უწყობს სკოლაში თანამედროვე საბიბლიოთეკო (მათ შორის, ელექტრონული) ფონდების შექმნას და განვითარებას;
- გეგმავს განახორციელოს სამართლის პროფილის რეფერირებადი ჟურნალის გამოცემა;
- ხელს უწყობს სკოლის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების კოოპერირებას რესპუბლიკურ და საერთაშორისო სტუდენტურ სამეცნიერო გაერთიანებებთან;

- ქმნის სტრუქტურულ თვითმმართველობის განვითარების და ამ ფორმით მათი მაქსიმალური აქტივობის ინიცირების ფონს;
- საზოგადოების დაკვეთის შესაბამისად სამართლის დარგის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უზრუნველყოფს მოკლევადიანი კურსებისა და სხვა სახის საგანმანათლებლო სერვისის შეთავაზებას;
- უზრუნველყოფს საზოგადოების დაინტერესებული ნაწილის ჩართულობას სკოლის მართვის პროცესში;
- სკოლის ადმინისტრირების რეალობით სტრუქტურებისთვის ქმნის თანამედროვე მენეჯმენტის თვალსაჩინო მოდელებს.

სკოლის სლოგანია: *"Dura Lex, Sed Lex" - "კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია"*.

ძირითადი ღირებულებები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სათანადო კვალიფიკაციის მქონე, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი. რომელიც აღჭურვილია სამართლის სფეროს თეორიული, ნორმატიული და პრაქტიკული ცოდნით, გამომუშავებული აქვს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული სამართლებრივი ღირებულებების, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების დაცვის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების, პროფესიული ეთიკის ნორმების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი.
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება დარგის სიღრმისეული, სისტემური ცოდნა და სათანადო უნარ-ჩვევები. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. სტუდენტი გამოიმუშავებს: საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიქცევის, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი; სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარს და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარებს; სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარებს; დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარს; სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების კონტექსტუალური ანალიზის უნარს, თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების უნარი.
- სამართლის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება სამართლის მიმართულებით ეროვნული სამართლისა და უცხოური სამართლის სისტემების სპეციფიკის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, პროდუქტიული კვლევის კომპეტენცია. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. სადოქტორო პროგრამის მიზანია სამართალმცოდნეობაში ახალი თაობის მკვლევარებისა და

აკადემიური პერსონალის მომზადება, რომელებიც შეძლებენ ხელი შეუწყონ დარგის განვითარებას თეორიული და პრაქტიკული, მტკიცებითი ან ემპირიული კვლევების მეშვეობით; დოქტორანტებში კვლევისა და სწავლებისთვის საჭირო კომპეტენციათა განვითარების ხელშეწყობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად. პროგრამა ორიენტირებულია იურიდიული ანალიზის, ინტერდისციპლინური, სოციალური და კრიტიკული მიდგომის განვითარებასა და გაღრმავებაზე.

მიზნები

მიზანი 1 - კავკასიის სამართლის სკოლამ მიაწოდოს საზოგადოებას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამები ლოკალური და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების გზით.

შემდეგი ამოცანების მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 1-ის მიღწევა

1ა. - საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული აკრედიტაციის მიღება სამართლის სკოლის სამივე საფეხურზე.

ამოცანის შესრულების საზომი: აკრედიტაციის მიღება 2014 წელს.

მიზანი 2 - საქართველოში შექმნას სამართლის სფეროებში განათლების მსოფლიო დონის სტანდარტი მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან სწავლებისა და კვლევის გამოცდილების გაზიარების გზით.

შემდეგი ამოცანების მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 2-ის მიღწევა

2ა. - აკადემიური პერსონალის მობილობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.

ამოცანის შესრულების საზომი: სემესტრში ერთხელ კავკასიის სამართლის სკოლის ერთი აკადემიური პერსონალი ორი კვირდან ერთ სემესტრის ვადით მივლინებული უნდა იყოს პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლებისა ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.

2ბ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებიდან აკადემიური პერსონალის მობილობას კავკასიის უნივერსიტეტში, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ კავკასიის უნივერსიტეტი სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.

ამოცანის შესრულების საზომი: სემესტრში ერთხელ კავკასიის სანართლის სკოლის პარტნიორი უნივერსიტეტის ერთი აკადემიური პერსონალი ორი კვირდან ერთ სემესტრის ვადით მოწვეული უნდა იყოს კავკასიის უნივერსიტეტში სწავლებისა ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.

2გ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტების მობილობის უზრუნველყოფა.

ამოცანის შესრულების საზომი: ყოველ სემესტრში კავკასიის სამართლის სკოლის 10 სტუდენტის მივლინება პარტნიორი უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. ყოველ სემესტრში პარტნიორი უნივერსიტეტებიდან მინიმუმ 2 სტუდენტის კავკასიის სამართლის სკოლაში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

2დ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმაგი ხარისხის ან/და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი ზრდა.

ამოცანის შესრულების საზომი: კავკასიის სამართლის სკოლაში ორმაგი ხარისხის ან/და ერთობლივი პროგრამის რაოდენობრივი ზრდა.

მიზანი 3 - აკადემიური პროგრამების მეშვეობით შესძინოს სტუდენტებს შესაბამისი პროგრამებით გაწერილი ცოდნა, კომპეტენციები და ღირებულებები, რომელთა საშუალებითაც მოხდება მათი კეთილსინდისიერი მოქალაქეებად და პროფესიონალებად ჩამოყალიბება.

შემდეგი ამოცანების მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 3-ის მიღწევა

3ა. - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

ამოცანის შესრულების საზომი: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი უნდა იყოს 85%-ზე მეტი.

მიზანი 4 – საქართველოში დაამკვიდროს სამართალმცოდნეობის სფეროში სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები.

დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემდეგი ამოცანების განხორციელების გზით:

4ა. - საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების და პარტნიორ უნივერსიტეტთა ქსელის გაფართოება 2014–2016 წლებში.

ამოცანის შესრულების საზომი:

- პარტნიორობის დაწყება ემორის სამართლის სკოლის სამაგისტრო პროგრამის შესახებ (2014 წლის შემოდგომა);
- პარტნიორობის შესახებ მემორანდუმის ემორის სამართლის სკოლასთან (2015 წლის გაზაფხული);
-

მიზანი 5 – სკოლაში მოქმედი პროგრამების განვითარება და ახალი, ინოვაციური და შრომის ბაზარზე მოთხოვნილი პროგრამების დანერგვა.

დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემდეგი ამოცანის განხორციელების გზით:

5ა. - ამოცანის შესრულების საზომი: ინგლურ ენოვანი სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება საერთაშორისო ბიზნეს სამართალში 2015 წლის შემოდგომის სემესტრისათვის;

3. კავკასიის მედიის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა

ზოგადი

კავკასიის მედიის სკოლის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს სკოლის განვითარების გზას 2014-2020 წლებისთვის. ამ დოკუმენტში მოყვანილი განვითარების მიმართულებები, მიზნები და ამოცანები დაფუძნებულია კავკასიის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა (2014-2020) და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე (2014-2020).

კავკასიის მედიის სკოლის მისია

კავკასიის მედიის სკოლის მისიაა კვლევაზე დაფუძნებული სწავლებისა და სწავლის მეშვეობით მოამზადოს მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, გლობალურ ასპარეზზე კონკურენტუნარიანი, მოქალაქეობრივი და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გამზიარებელი მედიაპროფესიონალები, რომელთაც მაღალი სტანდარტის ზოგადი განათლების გარდა, ექნებათ სფეროს თეორიული ცოდნა და კვლევითი თუ პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ძირითადი ღირებულებები

მედიის სკოლის ღირებულებები ეფუძნება მაღალი პროფესიონალური და მორალური თვისებების მქონე ჟურნალისტი/კომუნიკაციების სფეროს წარმომადგენლის ჩამოყალიბებას. სკოლის მიზანია, რომ მისი კურსდამთავრებულები იყვნენ არა მხოლოდ ვიწრო პროფესიული, თუნდაც ძალიან მაღალი დონის მომზადების მქონენი, არამედ ის, რომ მათ ერთობლიობაში ჰქონდეთ გაცნობიერებული საკუთარი მოქალაქეობრივი და პროფესიული პასუხისმგებლობა - საკუთარი პროფესიული ანგარიშვალდებულების საკითხი საზოგადოების წინაშე: იყვნენ მორალური პრინციპების ერთგულები, ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების პასუხისმგებლიანი წევრები; კეთილსინდისიერი მოქალაქეები.

კავკასიის მედიის სკოლის კურსდამთავრებულს აქვს უნარი გააანალიზოს მედიის/კომუნიკაციების როლი და ფუნქცია დემოკრატიულ საზოგადოებაში; აქვს გაცნობიერებული თუ რა გავლენა აქვს მედიას და ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში და აანალიზებს მისი, როგორც ჟურნალისტის/კომუნიკაციის სფეროს სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლის პროფესიონალიზმის და კეთილსინდისიერების მნიშვნელობას. აქვს უნარი, რომ საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით, წვლილი შეიტანოს თანამედროვე, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების დანერგვაში.

მიზნები

კავკასიის მედიის სკოლაში ამ მომენტისთვის მოქმედ პროგრამებს აქვთ ჩამოყალიბებული მიზნები. ზოგადად აღვწერთ ამ მიზნებს:

ჟურნალისტიკა/მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, ასევე მედიისა და ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს მაღალი პროფესიული სტანდარტების ჟურნალისტებისა და მედიაპროფესიონალების მომზადება, რომელთაც სიღრმისეულად ესმით ჟურნალისტიკის ნორმები, ღირებულებები, ინსტრუმენტები და სტანდარტები, რომლებიც საფუძვლიანად ერკვევიან ჟურნალისტური პრაქტიკის სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ეთიკურ ასპექტებში და ფლობენ საკმარის ცოდნას იმ ინტელექტუალური გამოწვევების შესახებ, რომელთა წინაშეც მედიას აყენებს თანამედროვე გლობალური რეალობა.

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის მიზანია ისეთი პროფესიონალების მომზადება, რომლებსაც ექნებათ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებისა და მენეჯერებისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები. ამ ცოდნისა და უნარების სპეციალისტები ხელს უწყობენ ორგანიზაციებსა და მათ მრავალფეროვან აუდიტორიებს შორის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

კონკრეტულად კი 2014-2020 წლების პერიოდში კავკასიის მედიის სკოლა სურს რეალობად აქციოს ქვემოთჩამოთვლილი მიზნები:

- კავკასიის მედიის სკოლამ მიაწოდოს საზოგადოებას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამები ლოკალური და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების გზით;
- მედიის სკოლაში მოქმედი პროგრამების ბაზაზე შექმნას ინგლისურენოვანი პროგრამები, რომელიც CSM-ს შესაძლებლობას მისცემს გაცდეს ქართულ საგანმანათლებლო ბაზარს და გახდეს რეგიონული მნიშვნელობის სკოლა;
- შექმნას თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის მქონე სტუდია, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ შექმნან მრავალფეროვანი მედიაპროდუქტი;
- შექმნას სტუდენტური მედია: ინტერნეტმულტიმედიური გამოცემები, რადიო და საკაბელო ტელემაუწყებლობები, რომელიც ორიენტირებული იქნება ახალგაზრდულ სეგმენტზე და რომლისთვის მუშაობაც სტუდენტებს სწავლის პროცესშივე მისცემს დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას;
- გააფართოვოს საერთაშორისო პარტნიორთა წრე, გაამრავალფეროვოს გაცვლითი პროგრამები და ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებთან ერთად შექმნას რეგიონში კონკურენტუნარიანი ორენოვანი ორმაგი ხარისხის პროგრამები;
- ხელი შეუწყოს პროფესორ-მასწავლებელთა გადამზადებას და მათი საერთაშორისო გამოცდილების გაღრმავებას; მოიზიდოს უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი და უცხოელი აკადემიური პერსონალის მოზიდვას და შენარჩუნებას;
- მოიძიოს საერთაშორისო პარტნიორი და შექმნას სადოქტორო პროგრამა კომუნიკაციებისა და მედიის კვლევების სფეროში;
- მედიის სკოლა აქციოს რეგიონში აქციოს ისეთ ინსტიტუციად, რომელიც 2 წელიწადში ერთხელ უმასპინძლებს საერთაშორისო დონის კონფერენციას;
- გაზარდოს დამსაქმებელთა წრე და ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა დასაქმებას პროფესიაში

დასახული მიზნების მისაღწევის არსებობს რეალისტური გზები: აკრედიტაციის პროცესი, ეროპის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა (ტემპუსი, ერასმუს მუნდუსი), საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების საგრანტო პროექტებში მონაწილეობა; პროფესორ-მასწავლებელთა მობილობის ზრდა. ასევე, მედიის სკოლის გარანტია არის კავკასიის უნივერსიტეტის პრიორიტეტები და თვითონ სკოლის მზარდი ბიუჯეტი; ასევე, უკვე არსებული მემორანდუმები და კონტაქტები.

4. კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა

ზოგადი

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს შვიდწლიან პერიოდს და განსაზღვრავს სკოლის განვითარების გზას 2014-2020 წლებისთვის. ამ დოკუმენტში მოყვანილი განვითარების მიმართულებები, მიზნები და ამოცანები დაფუძნებულია კავკასიის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა (2014-2020) და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე (2014-2020).

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის მისია

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის მისიაა სტუდენტთა მომზადება დარგის უახლესი მოთხოვნების გათვალისწინებით, მაღალი დონის სპეციალისტების ჩამოყალიბება, რომელთაც ექნებათ სფეროს თეორიული ცოდნა და კვლევითი თუ პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. კონკურენტუნარიანი სასწავლო გარემოს შექმნა, დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში აპრობირებული სასწავლო მეთოდოლოგიების დანერგვა, დარგის შესაბამისი პროგრამების განვითარება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მონაწილეობით.

ძირითადი ღირებულებები

ადგილობრივ და საერთაშორისო ათი საზოგადოებასთან ინტეგრაცია - სკოლა მზად არის ითანამშრომლოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს წარმომადგენლებთან, რათა შექმნას და გაავრცელოს რელევანტური ცოდნა საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორის განვითარების და მართვის მიმართულებით.

ინოვაციური სულისკვეთება - სკოლა მოტივირებულია მუდმივად შესთავაზოს საზოგადოებას, მის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებული და ასევე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი აკადემიური თუ პროფესიული პროგრამები და, შესაბამისად მოახდინოს არსებულის განვითარება.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - სკოლა მიმართულია ისეთი ცოდნა მისცეს საქართველოს საზოგადოების წევრებს, რომ მათი საქმიანობით განვითარდეს ქვეყნის საინფორმაციო საკომუნიკაციო სექტორი და გაიზარდოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

მიზნები

მიზანი 1 - კავკასიის ტექნოლოგიების სკოლამ მიაწოდოს საზოგადოებას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამები ლოკალური და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების გზით.

შემდეგი *ამოცანების* მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 1-ის მიღწევა

1ა. - საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული აკრედიტაციის მიღება ტექნოლოგიების სკოლის ყველა პროგრამაზე.

ამოცანის შესრულების საზომი: აკრედიტაციის მიღება 2014 წელს.

მიზანი 2 - შექმნას საქართველოში საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განათლების სტანდარტი მსოფლიოში წამყვან უნივერსიტეტებთან სწავლებისა და კვლევის გამოცდილების გაზიარების გზით.

შემდეგი *ამოცანების* მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 2-ის მიღწევა

2ა. - აკადემიური პერსონალის მობილობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.

ამოცანის შესრულების საზომი: სემესტრში ერთხელ კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის ერთი აკადემიური პერსონალი ორი კვირდან ერთ სემესტრის ვადით მივლინებული უნდა იყოს პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლებისა ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.

2ბ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებიდან აკადემიური პერსონალის მობილობას კავკასიის უნივერსიტეტში, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ კავკასიის უნივერსიტეტი სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.

ამოცანის შესრულების საზომი: სემესტრში ერთხელ კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის პარტნიორი უნივერსიტეტის ერთი აკადემიური პერსონალი ორი კვირდან ერთ სემესტრის ვადით მოწვეული უნდა იყოს კავკასიის უნივერსიტეტში სწავლებისა ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.

2გ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტების მობილობის უზრუნველყოფა.

ამოცანის შესრულების საზომი: ყოველ სემესტრში კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის 5 სტუდენტის მივლინება პარტნიორი უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. ყოველ სემესტრში პარტნიორი უნივერსიტეტებიდან 2 სტუდენტის მიღება კავკასიის ტექნოლოგიების სკოლაში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

მიზანი 3. - აკადემიური პროგრამების მეშვეობით შესძინოს სტუდენტებს შესაბამისი პროგრამებით გაწერილი ცოდნა, კომპეტენციები და ღირებულებები, რომელთა საშუალებითაც მოხდება მათი კეთილსინდისიერი მოქალაქეებად და პროფესიონალებად ჩამოყალიბება.

შემდეგი *ამოცანების* მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 3-ის მიღწევა

3ა. - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

ამოცანის შესრულების საზომი: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი უნდა იყოს 85%-ზე მეტი.

3ბ. - სახელმწიფოსა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორისთვის აქტუალური, საჭირო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება.

ამოცანის შესრულების საზომი:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება 2014-2015 სასწავლო წლისთვის;
- გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამის შეთავაზება 2015 -2016 სასწავლო წლისთვის;
- ინტერიერისა და დიზაინის საბაკალავრო პროგრამის შეთავაზება;
- მშენებლობაში კომპიუტერული პროექტირების საბაკალავრო პროგრამის შეთავაზება;
- ლანდშაფტურ არქიტექტურაში საბაკალავრო პროგრამის შეთავაზება.

5. კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა

ზოგადი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს შვიდწლიან პერიოდს და განსაზღვრავს სკოლის განვითარების გზას 2014-2020 წლებისთვის. ამ დოკუმენტში მოყვანილი განვითარების მიმართულებები, მიზნები და ამოცანები დაფუძნებულია კავკასიის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა (2014-2020) და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე (2014-2020).

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის მისია

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის მისიაა კვლევაზე დაფუძნებული სწავლებისა და სწავლის მეშვეობით მოამზადოს მსოფლიოში აღიარებული დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, გლობალურ ასპარეზზე კონკურენტუნარიანი, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გამზიარებელი საჯარო მმართველობის და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს პროფესიონალები, რომელთაც ექნებათ სფეროს თეორიული ცოდნა და კვლევითი თუ პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ძირითადი ღირებულებები

მაღალი პროფესიონალური და მორალური თვისებების მქონე საჯარო მოსამსახურეების მომზადება. სკოლის მიზანია, რომ მისი კურსდამთავრებულები იყონ არა მხოლოდ მაღალი პროფესიული მომზადების მქონე, არამედ გააჩნდეთ ქვეყნის ეროვნული ინტერესების და მორალური პრინციპების ერთგულების მაღალი დონე.

ადგილობრივ მოსახლეობასთან და საერთაშორისო საზოგადოებასთან სიახლოვე. საჯარო მოხელეებს და დიპლომატებს, რომელთაც ჩვენ ვზრდით, უნდა შეეძლოთ კარგი ურთიერთობების დამყარება და ცოდნის გაზიარება არა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობასთან, არამედ ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორებთან.

ინოვაციური სულისკვეთება - ჩვენ გვსურს მუდმივად შევთავაზოთ საზოგადოებას, მის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებული, ახალი აკადემიური თუ პროფესიული პროგრამები და, შესაბამისად, მოდიფიკაცია გაუკეთოთ არსებულს.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - ჩვენ გვსურს ისეთი ცოდნა მივცეთ საქართველოს საზოგადოების წევრებს, რომ მათი საქმიანობით განვითარდეს ქვეყნის საჯარო სამსახური და საერთაშორისო ურთიერთობები

ტოლერანტობა და გონებაგახსნილობა. ჩვენი პროგრამების კურსდამთავრებულები უნდა იყონ შემწყნარებლობის მაღალი ხარისხის მქონე ინდივიდები, რომელთაც შეუძლიათ მოისმინონ და პატივი სცენ განსხვავებულ აზრს.

მიზნები

მიზანი 1 - კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლამ მიაწოდოს საზოგადოებას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამები ლოკალური და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების გზით.

შემდეგი ამოცანების მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 1-ის მიღწევა

1ა. - საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული აკრედიტაციის მიღება სახელმწიფო მართვის სკოლის ყველა პროგრამაზე.

ამოცანის შესრულების საზომი: აკრედიტაციის მიღება 2014 წელს.

1ბ. - კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის სახელმწიფო მართვის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მომზადება საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად ევროპელი ექსპერტების დასკვნების საფუძველზე

ამოცანის შესრულების საზომი: ევროპელი ექსპერტების (აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან) და NISPAcee-ს (სახელმწიფო მართვის სკოლების და ინსტიტუტების ქსელი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში) დასკვნების მიღება პროგრამების ხარისხთან დაკავშირებით 2015 წელს

1გ. - კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის სახელმწიფო მართვის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიერ საერთაშორისო აკრედიტაციის მიღება

ამოცანის შესრულების საზომი: EAPAA-ს (European Association for Public Administration Accreditation) აკრედიტაციის მიღება 2016 წელს

მიზანი 2 - საქართველოში შექმნას საჯარო მმართველობის და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროებში განათლების მსოფლიო დონის სტანდარტი მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან სწავლებისა და კვლევის გამოცდილების გაზიარების გზით.

შემდეგი ამოცანების მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 2-ის მიღწევა

2ა. - აკადემიური პერსონალის მობილობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.

ამოცანის შესრულების საზომი: სემესტრში ერთხელ კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის ერთი აკადემიური პერსონალი ორი კვირდან ერთ სემესტრის ვადით მივლინებული უნდა იყოს პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლებისა ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.

2ბ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებიდან აკადემიური პერსონალის მობილობას კავკასიის უნივერსიტეტში, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ კავკასიის უნივერსიტეტი სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.

ამოცანის შესრულების საზომი: სემესტრში ერთხელ კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის პარტნიორი უნივერსიტეტის ერთი აკადემიური პერსონალი ორი კვირდან ერთ სემესტრის ვადით მოწვეული უნდა იყოს კავკასიის უნივერსიტეტში სწავლებისა ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.

2გ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტების მობილობის უზრუნველყოფა.

ამოცანის შესრულების საზომი: ყოველ სემესტრში კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლის 10 სტუდენტის მივლინება პარტნიორი უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. ყოველ სემესტრში პარტნიორი უნივერსიტეტებიდან მინიმუმ 2 სტუდენტის მიღება კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლაში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

2დ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმაგი ხარისხის ან/და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა.

ამოცანის შესრულების საზომი: კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლაში ორი ორმაგი ხარისხის ან/და ერთობლივი პროგრამის ფუნქციონირება.

მიზანი 3 - აკადემიური პროგრამების მეშვეობით შესძინოს სტუდენტებს შესაბამისი პროგრამებით გაწერილი ცოდნა, კომპეტენციები და ღირებულებები, რომელთა საშუალებითაც მოხდება მათი კეთილსინდისიერი მოქალაქეებად და პროფესიონალებად ჩამოყალიბება.

შემდეგი ამოცანების მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 3-ის მიღწევა

3ა. - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

ამოცანის შესრულების საზომი: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი უნდა იყოს 85%-ზე მეტი.

3ბ. - სახემლწიფოსთვის აქტუალური, საჭირო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება.

ამოცანის შესრულების საზომი:

- საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის შეთავაზება 2015 წელს
- სახელმწიფო მართვის სადოქტორო პროგრამის შეთავაზება 2015 წელს
- კონფლიქტების მოგვარების/მშვიდობის სწავლების სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება
- პოლიტიკური მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის შეთავაზება

მიზანი 4. სხვადასხვა საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებში გაწევრიანება და აქტიური როლის თამაში

მიზანი 4-ის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემდეგი ამოცანების წარმატებით შესრულების შემთხვევაში

4ა. – NISPAcee-ს ფარგლებში აქტიური როლის თამაში და ყოველწლიური კონფერენციის მასპინძლობა თბილისში

ამოცანის შესრულების საზომი:

- NISPAcee-ს საერთაშორისო კონფერენციის მასპინძლობა თბილისში 2015 წლის მაისში

5ა. – APSIA-ში (Association of Professional Schools of International Affairs) გაწევრიანება

ამოცანის შესრულების საზომი: გაწევრიანება 2016 წელს

6. კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა **შესავალი**

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს 2014-2020 წლებისათვის. სკოლის განვითარების ძირითადი მიმართულებები, მისი მიზნები და ამოცანები ეფუძნება კავკასიის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა (2014-2020) და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას (2014-2020).

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მისია

კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მისიაა მოამზადოს თანამედროვე, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი და მაღალი კვალიფიკაციის ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებულები და მკვლევარები ჰუმანიტარულ, სოციალურ და ინტერდისციპლინურ დარგებში; ხელი შეუწყოს საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებასა და ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

სკოლის მიზნები 2014–2020 წწ.

მიზანი 1 – სკოლაში მოქმედი აკადემიური პროგრამების მეშვეობით სტუდენტებს შესძინოს პროგრამებით გაწერილი ცოდნა, კომპეტენციები, ღირებულებები და ამგვარად ხელი შეუწყოს მათ კეთილსინდისიერ მოქალაქეებად და პროფესიონალებად ჩამოყალიბებას.

დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემდეგი ამოცანების განხორციელების გზით:

A - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

ამოცანის შესრულების საზომი: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი უნდა აღემატებოდეს 80%-ს.

B - სკოლაში მოქმედი პროგრამების განვითარება და ახალი, ინოვაციური და შრომის ბაზარზე მოთხოვნილი პროგრამების დანერგვა.

ამოცანის შესრულების საზომი:

- სკოლაში მოქმედი საბაკალავრო პროგრამების, ევროპისმცოდნეობის და ინგლისური ფილოლოგიის განახლება და აკრედიტირება 2014 წლის გაზაფხულისათვის;
- ახალი სამაგისტრო პროგრამების შეთავაზება 2014 წლის შემოდგომის სემესტრისათვის: ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და აკრედიტირება 2014 წლის გაზაფხულისათვის; მედიაკომუნიკაციის სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და აკრედიტირება 2014 გაზაფხულისათვის;
- სინქრონული თარგმანის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება 2015 წლის შემოდგომის სემესტრისათვის;
- ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება 2016 წლის შემოდგომის სემესტრისათვის;
- ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება 2016 წლის შემოდგომის სემესტრისათვის.
- სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება ეკოლოგიასა და გარემოსდაცვით პოლიტიკაში 2017 წლის შემოდგომის სემესტრისათვის;
- განათლების მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება 2018 წლის შემოდგომის სემესტრისათვის.

მიზანი 2 – საქართველოში დაამკვიდროს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სფეროში სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები.

დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემდეგი ამოცანების განხორციელების გზით:

A - საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების და პარტნიორ უნივერსიტეტთა ქსელის გაფართოება 2014–2016 წლებში.

ამოცანის შესრულების საზომი:

- პარტნიორობის დაწყება ტაღინის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ევროსპიმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (2014 წლის შემოდგომა);
- პარტნიორობის შესახებ მემორანდუმის გაფორმება ტაღინის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (2015 წლის გაზაფხული);

B - სკოლაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება.

ამოცანის შესრულების საზომი:

- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების შემუშავება 2014 წლის გაზაფხულისათვის;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ამოქმედება 2015 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის;
- ყოველწლიური სამეცნიერო აღმანახის გამოცემა;
- ყოველწლიურ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა 2014 წლის შემოდგომაზე.

C - სკოლის აკადემიური პერსონალის პროფესიული დონის ამაღლების ხელშემწყობი პროგრამების დანერგვა 2015–2016 წლებში;

ამოცანის შესრულების საზომი:

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის 10 აკადემიური პერსონალის გაგზავნა ტარტუს პარნუს კოლეჯში დისტანციური სწავლების ინოვაციური მეთოდის ასათვისებლად (2015 წლის იანვარი).

7. კავკასიის ტურიზმის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა

ზოგადი

კავკასიის ტურიზმის სკოლის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს შვიდწლიან პერიოდს და განსაზღვრავს სკოლის განვითარების გზას 2014-2020 წლებისთვის. ამ დოკუმენტში მოყვანილი განვითარების მიმართულებები, მიზნები და ამოცანები დაფუძნებულია კავკასიის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა (2014-2020) და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე (2014-2020).

კავკასიის ტურიზმის სკოლის მისია

დროის გამოწვევების შესაბამისი, კვლევასა და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებისა და სწავლის მეშვეობით ეკოლოგიურ, კულტურულ, სამკურნალო და რეკრიაციულ ტურიზმზე ღრმა ცოდნის მქონე, სავსე პირობებზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარების მქონე, ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდა, ასევე ქართულ და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე საზოგადოების საგანმანათლებლო დაკვეთის მაქსიმალური დაკმაყოფილება.

ძირითადი ღირებულებები

მაღალი პროფესიონალური და მორალური თვისებების მქონე საჯარო მოსამსახურეების მომზადება. სკოლის მიზანია, რომ მისი კურსდამთავრებულები იყონ არა მხოლოდ მაღალი პროფესიული მომზადების მქონე, არამედ გააჩნდეთ ქვეყნის ეროვნული ინტერესების და მორალური პრინციპების ერთგულების მაღალი დონე.

ადგილობრივ მოსახლეობასთან და საერთაშორისო საზოგადოებასთან სიახლოვე. ტურიზმის მენეჯერებს, რომელთაც ჩვენ ვზრდით, უნდა შეეძლოთ კარგი ურთიერთობების დამყარება და ცოდნის გაზიარება არა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობასთან, არამედ ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორებთან.

ინოვაციური სულისკვეთება - ჩვენ გვსურს მუდმივად შევთავაზოთ საზოგადოებას, მის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებული, ახალი აკადემიური თუ პროფესიული პროგრამები და, შესაბამისად, მოდიფიკაცია გაუკეთოთ არსებულს.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - ჩვენ გვსურს ისეთი ცოდნა მივცეთ საქართველოს საზოგადოების წევრებს, რომ მათი საქმიანობით განვითარდეს ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრია.

ტოლერანტობა და გონებაგახსნილობა. ჩვენი პროგრამების კურსდამთავრებულები უნდა იყონ შემწყნარებლობის მაღალი ხარისხის მქონე ინდივიდები, რომელთაც შეუძლიათ მოისმინონ და პატივი სცენ განსხვავებულ აზრს.

მიზნები

მიზანი 1 - კავკასიის ტურიზმის სკოლამ მიაწოდოს საზოგადოებას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამები ლოკალური და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების გზით.

შემდეგი ამოცანების მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 1-ის მიღწევა

1ა. - საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული აკრედიტაციის მიღება ტურიზმის სკოლის ყველა პროგრამაზე.

ამოცანის შესრულების საზომი: აკრედიტაციის მიღება 2014 წელს.

1ბ. - კავკასიის ტურიზმის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მომზადება საერთაშორისო სერტიფიცირების მისაღებად ევროპელი ექსპერტების დასკვნების საფუძველზე

ამოცანის შესრულების საზომი: ევროპელი ექსპერტების დასკვნების მიღება პროგრამების ხარისხთან დაკავშირებით 2017 წელს

1გ. - კავკასიის ტურიზმის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიერ საერთაშორისო სერტიფიცირების მიღება

ამოცანის შესრულების საზომი: UNWTO.TedQual Certification System (გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ტურიზმის განათლების ხარისხის სერტიფიცირების სისტემა) წარდგენა 2020 წელს

მიზანი 2 - საქართველოში შექმნას ტურიზმის სფეროში განათლების მსოფლიო დონის სტანდარტი მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან სწავლებისა და კვლევის გამოცდილების გაზიარების გზით.

შემდეგი ამოცანების მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 2-ის მიღწევა

2ა. - აკადემიური პერსონალის მობილობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.

ამოცანის შესრულების საზომი: სემესტრში ერთხელ კავკასიის ტურიზმის სკოლის ერთი აკადემიური პერსონალი ორი კვირდან ერთ სემესტრის ვადით მივლინებული უნდა იყოს პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლების ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.

2ბ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებიდან აკადემიური პერსონალის მობილობას კავკასიის უნივერსიტეტში, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ კავკასიის უნივერსიტეტი სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.

ამოცანის შესრულების საზომი: სემესტრში ერთხელ კავკასიის ტურიზმის სკოლის პარტნიორი უნივერსიტეტის ერთი აკადემიური პერსონალი ორი კვირდან ერთ სემესტრის ვადით მოწვეული უნდა იყოს კავკასიის უნივერსიტეტში სწავლების ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.

2გ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტების მობილობის უზრუნველყოფა.

ამოცანის შესრულების საზომი: ყოველ სემესტრში კავკასიის ტურიზმის სკოლის 10 სტუდენტის მივლინება პარტნიორი უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. ყოველ სემესტრში პარტნიორი უნივერსიტეტებიდან მინიმუმ 2 სტუდენტის მიღება კავკასიის ტურიზმის სკოლაში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

2დ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმაგი ხარისხის ან/და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა.

ამოცანის შესრულების საზომი: კავკასიის ტურიზმის სკოლაში ორი ორმაგი ხარისხის ან/და ერთობლივი პროგრამის ფუნქციონირება.

მიზანი 3 - აკადემიური პროგრამების მეშვეობით შესძინოს სტუდენტებს შესაბამისი პროგრამებით გაწერილი ცოდნა, კომპეტენციები და ღირებულებები, რომელთა საშუალებითაც მოხდება მათი კეთილსინდისიერი მოქალაქეებად და პროფესიონალებად ჩამოყალიბება.

შემდეგი *ამოცანების* მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 3-ის მიღწევა

3ა. - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

ამოცანის შესრულების საზომი: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი უნდა იყოს 85%-ზე მეტი.

3ბ. - სახელწიფოსთვის აქტუალური, საჭირო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება.

ამოცანის შესრულების საზომი:

- ტურიზმის სადოქტორო პროგრამის შეთავაზება 2016 წელს
- პროფესიული სასწავლო პროგრამების შეთავაზება 2016 წელს

მიზანი 4. სხვადასხვა საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებში გაწევრიანება და აქტიური როლის თამაში

მიზანი 4-ის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემდეგი ამოცანების წარმატებით შესრულების შემთხვევაში

4ა. – UNWTO -ს ფარგლებში აქტიური როლის თამაში და ყოველწლიურ კონფერენციებზე დასწრება

ამოცანის შესრულების საზომი:

- UNWTO Themis Foundation -ს საერთაშორისო ღონისძიებისა და კონფერენციის მასპინძლობა თბილისში 2015 წლის მაისში
- 5ა. – UNWTO Themis Foundation გაწევრიანება

ამოცანის შესრულების საზომი: გაწევრიანება 2017 წელს

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს 2014-2020 წლებისათვის. სკოლის განვითარების ძირითადი მიმართულებები, მისი მიზნები და ამოცანები ეფუძნება კავკასიის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას (2014-2020) და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას (2014-2020).

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მისია

კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის მისიაა მოამზადოს თანამედროვე, დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი და მაღალი კვალიფიკაციის ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე

კურსდამთავრებულები და მკვლევარები ჰუმანიტარულ, სოციალურ და ინტერდისციპლინურ დარგებში; ხელი შეუწყოს საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებასა და ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

სკოლის მიზნები

2014–2020 წწ.

მიზანი 1 – სკოლაში მოქმედი აკადემიური პროგრამების მეშვეობით სტუდენტებს შესძინოს პროგრამებით გაწერილი ცოდნა, კომპეტენციები, ღირებულებები და ამგვარად ხელი შეუწყოს მათ კეთილსინდისიერ მოქალაქეებად და პროფესიონალებად ჩამოყალიბებას.

დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემდეგი ამოცანების განხორციელების გზით:

A - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

ამოცანის შესრულების საზომი: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი უნდა აღემატებოდეს 80%-ს.

B - სკოლაში მოქმედი პროგრამების განვითარება და ახალი, ინოვაციური და შრომის ბაზარზე მოთხოვნილი პროგრამების დანერგვა.

ამოცანის შესრულების საზომი:

- სკოლაში მოქმედი საბაკალავრო პროგრამების, ევროპისმცოდნეობის და ინგლისური ფილოლოგიის განახლება და აკრედიტირება 2014 წლის გაზაფხულისათვის;
- ახალი სამაგისტრო პროგრამების შეთავაზება 2014 წლის შემოდგომის სემესტრისათვის: ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და აკრედიტირება 2014 წლის გაზაფხულისათვის; მედიაკომუნიკაციის სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და აკრედიტირება 2014 გაზაფხულისათვის;
- სინქრონული თარგმანის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება 2015 წლის შემოდგომის სემესტრისათვის;
- ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება 2016 წლის შემოდგომის სემესტრისათვის;
- ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება 2016 წლის შემოდგომის სემესტრისათვის.
- სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება ეკოლოგიასა და გარემოსდაცვით პოლიტიკაში 2017 წლის შემოდგომის სემესტრისათვის;
- განათლების მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება 2018 წლის შემოდგომის სემესტრისათვის.

მიზანი 2 – საქართველოში დაამკვიდროს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სფეროში სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები.

დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემდეგი ამოცანების განხორციელების გზით:

A - საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების და პარტნიორ უნივერსიტეტთა ქსელის გაფართოება 2014–2016 წლებში.

ამოცანის შესრულების საზომი:

- პარტნიორობის დაწყება ტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ევროსპიმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში (2014 წლის შემოდგომა);
- პარტნიორობის შესახებ მემორანდუმის გაფორმება ტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (2015 წლის გაზაფხული);

B - სკოლაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება.

ამოცანის შესრულების საზომი:

- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების შემუშავება 2014 წლის გაზაფხულისათვის;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ამოქმედება 2015 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის;
- ყოველწლიური სამეცნიერო აღმანახის გამოცემა;
- ყოველწლიურ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა 2014 წლის შემოდგომაზე.

C - სკოლის აკადემიური პერსონალის პროფესიული დონის ამაღლების ხელშემწყობი პროგრამების დანერგვა 2015–2016 წლებში;

ამოცანის შესრულების საზომი:

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის 10 აკადემიური პერსონალის გაგზავნა ტარტუს პარნუს კოლეჯში დისტანციური სწავლების ინოვაციური მეთოდის ასათვისებლად (2015 წლის იანვარი).

7. კავკასიის ტურიზმის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა

ზოგადი

კავკასიის ტურიზმის სკოლის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს შვიდწლიან პერიოდს და განსაზღვრავს სკოლის განვითარების გზას 2014-2020 წლებისთვის. ამ დოკუმენტში მოყვანილი განვითარების მიმართულებები, მიზნები და ამოცანები დაფუძნებულია კავკასიის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმასა (2014-2020) და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე (2014-2020).

კავკასიის ტურიზმის სკოლის მისია

დროის გამოწვევების შესაბამისი, კვლევასა და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლებისა და სწავლის მეშვეობით ეკოლოგიურ, კულტურულ, სამკურნალო და რეკრეაციულ ტურიზმზე ღრმა ცოდნის მქონე, სავსე პირობებზე ორიენტირებული, ტრანსფერული უნარების მქონე, ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდა, ასევე ქართულ და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე საზოგადოების საგანმანათლებლო დაკვეთის მაქსიმალური დაკმაყოფილება.

ძირითადი ღირებულებები

მაღალი პროფესიონალური და მორალური თვისებების მქონე საჯარო მოსამსახურეების მომზადება. სკოლის მიზანია, რომ მისი კურსდამთავრებულები იყონ არა მხოლოდ მაღალი პროფესიული მომზადების მქონე, არამედ გააჩნდეთ ქვეყნის ეროვნული ინტერესების და მორალური პრინციპების ერთგულების მაღალი დონე.

ადგილობრივ მოსახლეობასთან და საერთაშორისო საზოგადოებასთან სიახლოვე. ტურიზმის მენეჯერებს, რომელთაც ჩვენ ვზრდით, უნდა შეემოთ კარგი ურთიერთობების დამყარება და ცოდნის გაზიარება არა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობასთან, არამედ ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორებთან.

ინტვატორული სულისკვეთება - ჩვენ გვსურს მუდმივად შევთავაზოთ საზოგადოებას, მის საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებული, ახალი აკადემიური თუ პროფესიული პროგრამები და, შესაბამისად, მოდიფიკაცია გაუკეთოთ არსებულს.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა - ჩვენ გვსურს ისეთი ცოდნა მივცეთ საქართველოს საზოგადოების წევრებს, რომ მათი საქმიანობით განვითარდეს ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრია.

ტოლერანტობა და გონებაგახსნილობა. ჩვენი პროგრამების კურსდამთავრებულები უნდა იყონ შემწყნარებლობის მაღალი ხარისხის მქონე ინდივიდები, რომელთაც შეუძლიათ მოისმინონ და პატივი სცენ განსხვავებულ აზრს.

მიზნები

მიზანი 1 - კავკასიის ტურიზმის სკოლამ მიაწოდოს საზოგადოებას მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამები ლოკალური და საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების გზით.

შემდეგი ამოცანების მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 1-ის მიღწევა

1ა. - საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული აკრედიტაციის მიღება ტურიზმის სკოლის ყველა პროგრამაზე.

ამოცანის შესრულების საზომი: აკრედიტაციის მიღება 2014 წელს.

1ბ. - კავკასიის ტურიზმის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მომზადება საერთაშორისო სერტიფიცირების მისაღებად ევროპელი ექსპერტების დასკვნების საფუძველზე

ამოცანის შესრულების საზომი: ევროპელი ექსპერტების დასკვნების მიღება პროგრამების ხარისხთან დაკავშირებით 2017 წელს

1გ. - კავკასიის ტურიზმის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიერ საერთაშორისო სერტიფიცირების მიღება

ამოცანის შესრულების საზომი: UNWTO.TedQual Certification System (გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ტურიზმის განათლების ხარისხის სერტიფიცირების სისტემა) წარდგენა 2020 წელს

მიზანი 2 - საქართველოში შექმნას ტურიზმის სფეროში განათლების მსოფლიო დონის სტანდარტი მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან სწავლებისა და კვლევის გამოცდილების გაზიარების გზით.

შემდეგი ამოცანების მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 2-ის მიღწევა

2ა. - აკადემიური პერსონალის მობილობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.

ამოცანის შესრულების საზომი: სემესტრში ერთხელ კავკასიის ტურიზმის სკოლის ერთი აკადემიური პერსონალი ორი კვირდან ერთ სემესტრის ვადით მივლინებული უნდა იყოს პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლების ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.

2ბ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებიდან აკადემიური პერსონალის მობილობას კავკასიის უნივერსიტეტში, რაც მოიცავს გარკვეული პერიოდით პარტნიორ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ კავკასიის უნივერსიტეტი სწავლებას ან კვლევით საქმიანობას.

ამოცანის შესრულების საზომი: სემესტრში ერთხელ კავკასიის ტურიზმის სკოლის პარტნიორი უნივერსიტეტის ერთი აკადემიური პერსონალი ორი კვირდან ერთ სემესტრის ვადით მოწვეული უნდა იყოს კავკასიის უნივერსიტეტში სწავლების ან/და კვლევითი საქმიანობისათვის.

2გ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტების მობილობის უზრუნველყოფა.

ამოცანის შესრულების საზომი: ყოველ სემესტრში კავკასიის ტურიზმის სკოლის 10 სტუდენტის მივლინება პარტნიორი უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. ყოველ სემესტრში პარტნიორი უნივერსიტეტებიდან მინიმუმ 2 სტუდენტის მიღება კავკასიის ტურიზმის სკოლაში გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

2დ. - საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმაგი ხარისხის ან/და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა.

ამოცანის შესრულების საზომი: კავკასიის ტურიზმის სკოლაში ორი ორმაგი ხარისხის ან/და ერთობლივი პროგრამის ფუნქციონირება.

მიზანი 3 - აკადემიური პროგრამების მეშვეობით შესძინოს სტუდენტებს შესაბამისი პროგრამებით გაწერილი ცოდნა, კომპეტენციები და ღირებულებები, რომელთა საშუალებითაც მოხდება მათი კეთილსინდისიერი მოქალაქეებად და პროფესიონალებად ჩამოყალიბება.

შემდეგი *ამოცანების* მიღწევის შედეგად შესაძლებელი იქნება მიზანი 3-ის მიღწევა

3ა. - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

ამოცანის შესრულების საზომი: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი უნდა იყოს 85%-ზე მეტი.

3ბ. - სახელწიფოსთვის აქტუალური, საჭირო ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება.

ამოცანის შესრულების საზომი:

- ტურიზმის სადოქტორო პროგრამის შეთავაზება 2016 წელს
- პროფესიული სასწავლო პროგრამების შეთავაზება 2016 წელს

მიზანი 4. სხვადასხვა საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებში გაწევრიანება და აქტიური როლის თამაში

მიზანი 4-ის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემდეგი ამოცანების წარმატებით შესრულების შემთხვევაში

4ა. – UNWTO -ს ფარგლებში აქტიური როლის თამაში და ყოველწლიურ კონფერენციებზე დასწრება

ამოცანის შესრულების საზომი:

- UNWTO Themis Foundation -ს საერთაშორისო ღონისძიებისა და კონფერენციის მასპინძლობა თბილისში 2015 წლის მაისში
- 5ა. – UNWTO Themis Foundation გაწევრიანება

ამოცანის შესრულების საზომი: გაწევრიანება 2017 წელს

8. კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს 2014-2020 წლებისათვის, რომლებიც ეფუძნება კავკასიის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას (2014-2020) და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას (2014-2020). კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლა კავკასიის უნივერსიტეტში 2012 წლიდან მოქმედებს. ამიტომ, სკოლის შემდგომი განვითარებისა და ეროვნულ თუ საერთაშორისო საუნივერსიტეტო-სამეცნიერო სივრცეში დამკვიდრების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ძირითად ორიენტირებს, რომლებსაც წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს.

კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის მისია

კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის მისიაა საქართველოში ეკონომიკისა და ჯანდაცვის სისტემების მართვის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის, თანამედროვე მიდგომებისა და ღირებულებების დანერგვა.

კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის მიზანი

სკოლის საქმიანობა მიმართულია საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების, სამედიცინო დახმარების ხარისხის ამაღლებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისაკენ, ასევე იგი ემსახურება სამედიცინო დაწესებულებების ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

სკოლის მიზნები

2014-2020 წწ.

მიზანი 1 – კვლევებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადება და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემდეგი ამოცანების განხორციელების გზით:

A - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

ამოცანის შესრულების საზომი:

- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი უნდა აღემატებოდეს 85%-ს.

B - სკოლაში მოქმედი პროგრამების განვითარება და ახალი პროგრამების დანერგვა ჯანდაცვისა და ეკონომიკის სფეროებში მიმდინარე ინოვაციური გარდატეხების მოთხოვნების შესაბამისად.

ამოცანის შესრულების საზომი:

- სკოლაში მოქმედი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარება და მომზადება 2016 წლის აკრედიტაციის პერიოდისათვის.
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება და შეთავაზება 2016 წლის შემოდგომის სემესტრისათვის.
- სკოლაში მოქმედი ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარება და მომზადება 2017 წლის აკრედიტაციის პერიოდისათვის.
- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარება და მომზადება 2018 წლის აკრედიტაციის პერიოდისათვის.
- ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და შეთავაზება ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროში 2018 წლის შემოდგომის სემესტრისათვის.

მიზანი 2 – საქართველოში დაამკვიდროს ჯანდაცვის და ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროში სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები.

დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება შემდეგი ამოცანების განხორციელების გზით:

A - საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების და პარტნიორ უნივერსიტეტთა ქსელის გაფართოება.

ამოცანის შესრულების საზომი:

- პარტნიორობის შესახებ მემორანდუმის გაფორმება ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ატლანტა) ჯ. მაკ რობინსონის ბიზნესის კოლეჯის ჯანდაცვის ადმინისტრირების ინსტიტუტთან და მიჩიგანის უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირებისა და პოლიტიკის დეპარტამენტთან 2015–2016 წლებში.

B - სკოლაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება.

ამოცანის შესრულების საზომი:

- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ამოქმედება 2015 წლის გაზაფხულის სემესტრისათვის;
- ყოველწლიური სამეცნიერო აღმანახის გამოცემა;
- ყოველწლიურ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

C – ტრენინგ-პროგრამების განვითარება.

ამოცანის შესრულების საზომი:

- სკოლაში მოქმედი ტრენინგ-პროგრამების (კოსპიტალური მენეჯმენტი და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვა) შემდგომი სრულყოფა და განვითარება.
- ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და შეთავაზება ეკონომიკის სფეროში 2015 წლის შემოდგომისათვის.

თავი II - კავკასიის უნივერსიტეტის მატერიალური რესურსის მიმოხილვა

კავკასიის უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი IT ტექნოლოგიების კუთხით სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი. უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია დაფარულია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემებით. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მერხი, სკამი). სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ემსახურება 3 მაღალი წარმადობის ასლგადამღები აპარატი, მათ შორის ერთი ფერადი. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით, უსადენო ინტერნეტით დაფარულია უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია (25 wireless router თითოეულის დაფარვის ზონა 60-200 მეტრი). ამასთან, უნივერსიტეტის მფლობელობაშია და ემსახურება სასწავლო პროცესს: ვიდეო კამერა – JVC GY-HM100E (3 ერთეული); შტატივი – Libec TH-650 (3 ერთეული); რადიომიკროფონი – Sennheiser EW112PG3 (2 ერთეული); ხელის რადიომიკროფონი – Sennheiser EW135PG3 (3 ერთეული); ვიდეო კამერის განათება – ETecpro Fillini (3 ერთეული); ვიწრომიმართული მიკროფონი კომპლექტით – სამაგრი, ანკესი (65sm-2.5m), ქარსაფარი; ხმის მიქშერი – XLRmale-XLRfemale; 150ვტ. განათების მოწყობილობა – Dedolight Classic Series 150W (3 ერთეული); 150ვტ. რბილი განათების მოწყობილობა – Dedolight Soft Baby Classic Series 150W; ფოტოკამერა – CANON 1000 D (5 ერთეული); ფოტობიექტივი – CANON EF-S 55-250mm f/4-5.6IS; ფოტობიექტივი – CANON EF 75-300mm f/4-5.6 III USM; ყურსასმენი – ACME HH02 (11 ერთეული); რადიოდიქტოფონი – Olympus VN-5200 PC (5 ერთეული); რადიოდიქტოფონი – CENIX VR-P2170NEW (3 ერთეული); რადიოდიქტოფონი – Olympus WS-321 M (2 ერთეული); რადიოდიქტოფონი – Olympus WS-400 S;

კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში დანერგილია და გამოიყენება შემდეგი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და სერვისები: უნივერსიტეტის შენობაში შემოყვანილია მაღალსიჩქარიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის არხი: გარე რესურსებთან წვდომის სიჩქარე არის 25მბიტ/წმ სიმეტრიული გარანტირებული, ხოლო საქართველოს რესურსებზე წვდომის სიჩქარე არის 100მბიტ/წმ სიმეტრიული გარანტირებული; 2012 წლიდან ფუნქციონირებს უნივერსიტეტის ახალი ვებ გვერდი მისამართით <http://www.cu.edu.ge>, რომელიც არის ყოველდღიურად განახლებადი, მას სისტემატურად ემატება ახალ-ახალი ფუნქციონალი მაგ. სიახლეების გამოწერა, სოციალურ ქსელებთან ინფორმაციის გაზიარების სხვადასხვა მოდული და ა.შ.; 2011 წლიდან დაინერგა და ფუნქციონირებს Moodle-ზე დაფუძნებული დისტანციური სწავლების პორტალი მისამართი - <http://dl.cu.edu.ge>; დანერგილია სტუდენტების საგნებზე სარეგისტრაციო პროგრამა; დანერგილია საგნებზე გადასახდელი თანხების შემოსატანად ბანკთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფა; დანერგილია

სტუდენტების და ლექტორების შიდა მონაცემთა ბაზა, სადაც არის შენახული შემდეგი ინფორმაცია: სტუდენტების და ლექტორების პირადი მონაცემები, ნიშნები, სტუდენტთა სემესტრული გადახდები, ელექტრონული აღრიცხვა და სხვა; დანერგილია ლექტორთა შეფასების ელექტრონული სისტემა; ყველა ვებ რესურსი დაცულია ავტორიზირებული SSL სერტიფიკატით.

2014 წლის მარტის მონაცემებით IT ტექნოლოგიების კუთხით კავკასიის უნივერსიტეტის კუთვნილებაშია შემდეგი ტექნიკური მოწყობილობები: პერსონალური კომპიუტერები 115 ერთეული; ნოუტბუქები 24 ერთეული; ნეტბუქები 270 ერთეული; მძლავრი პრინტერები/ასლგადამღები 3 ერთეული; პრინტერები 50; სერვერები 5 ერთეული; ერთეული IBM Xeon Dualcore, RAM 4GB, 6 NIC; 1 ერთეული IBM Xeon Quadcore, RAM 8GB, 2 NIC 1 ერთეული Hp Proliant DL360 G7 2Sock 8Core, RAM 128GB, 4 NIC 1 ერთეული Hp Proliant DL380 G7 2Sock 12Core, RAM 128GB, 4 NIC; მულტიმედია პროექტორები 48 ერთეული.

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა მისამართიდან <http://cu.edu.ge/ka/component/content/article/140-various/639-library>. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა შემდეგ ქსელებთან: www.web.ebscohost.com; www.oxfordjournals.org; www.refortlinker.com; www.cambridgejournal.com; www.codex.ge; www.emerald.com; www.passportgmid.com და აღნიშნული ქსელები უზრუნველყოფენ პერიოდულ გამოცემათა ელ-ბაზებს. დამატებით კავკასიის უნივერსიტეტის ვებ რესურსებზე არის განთავსებული ელექტრონული წიგნების პორტალი მისამართით <https://ebooks.cu.edu.ge/> ყველა რესურსი განთავსებულია გარკვეული იერარქიით მათი თემატიკის გათვალისწინებით. აქვს ასევე ძეგნის ფუნქცია. წიგნების უმეტესობას ახლავს მოკლე ანოტაცია/აღწერილობა. მასალები გადმოსაწერად დაცულია პაროლით და მხოლოდ ხელმისაწვდომია კავკასიის უნივერსიტეტის პერსონალისთვის და სტუდენტებისათვის. კავკასიის უნივერსიტეტის მიმდინარე და ახლადაკრედიტებული (დაგეგმილი) პროგრამების პროფესორები სარგებლობენ ამერიკისა და ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების ელექტრონული ბაზებით, რაც ზრდის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა და დაუბრკოლებელ ხელმისაწვდომობას უახლეს კვლევებსა და სახელმძღვანელოებზე. კავკასიის უნივერსიტეტში არსებობს ბიბლიოთეკის ონლაინ კატალოგი მისამართზე <http://library.cu.edu.ge/>, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი (მაგიდები, სკამები, კომპიუტერები, ვაირლეს როუტერი). ბიბლიოთეკის ფონდით სარგებლობა შეუძლია კავკასიის უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს. ბიბლიოთეკაში არსებული მასალების მიმოქცევა აღიწერება ელექტრონული სახით.

კავკასიის უნივერსიტეტში საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით დაგეგმილია შემდეგი ტექნოლოგიებისა და სერვისების დანერგვა: დომენური სისტემის დანერგვა, Microsoft Active Directory -ის ბაზაზე შიდა ლოკალური ქსელის კომპიუტერებისა და

მომხმარებლებისთვის დომენური პოლიტიკის შემუშავება, უსაფრთხოების მართვა და მონიტორინგი; Vlan –ის მეშვეობით კავკასიის უნივერსიტეტის შიდა ლოკალური ქსელის დაყოფა დეპარტამენტებისა და სამსახურების მიხედვით; Nagios -ის ბაზაზე შიდა ლოკალური ქსელის მოწყობილობების, სერვერებისა და კომპიუტერების მონიტორინგი; კავკასიის უნივერსიტეტის კომპიუტერულ აუდიტორიებში “თხელი კლიენტების” (ე.წ. ZeroClient) ბაზაზე, მოქნილი სასწავლო გარემოზე ორიენტირებული ტექნოლოგიების დანერგვა; VMware VSphere ESXi 5.1 -ის ბაზაზე ვირტუალიზაციის დანერგვა და ვირტუალური სერვერების გამოყენება; VMware View (VDI) ბაზაზე კომპიუტერული აუდიტორიების “თხელი კლიენტებისთვის” სხვადასხვა ოპერაციული სისტემების ვირტუალიზაცია; კავკასიის უნივერსიტეტის შიდა საინფორმაციო რესურსებისთვის ინტრანეტის დანერგვა; VoIP ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ტელეფონია; VPN ტექნოლოგიაზე დაფუძნებული კავკასიის შიდა საინფორმაციო რესურსებზე წვდომის საშუალება.

თავი III- კავკასიის უნივერსიტეტის მონაწილეობით განხორციელებული და მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროექტები

კავკასიის უნივერსიტეტი ახორციელებს საერთაშორისო დონორების დაფინანსებით შემდეგ სასწავლო და სამეცნიერო პროგრამებს

- FP7 ჩარჩო პროგრამა - მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის”; მიმდინარე წელს, პროექტის ფარგლებში გარდა სამეცნიერო კვლევებისა, თბილისში განხორციელდა ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ერთი - 2012 წლის 12-13 ნოემბერს (“European Neighbourhood Policy Instrument”), რომლის ბიუჯეტმა შეადგინა 31 000 ევრო, ხოლო მეორე ჩატარდა 2013 წლის 13-14 ივნისს (“Innovation policies in CA/SC&MO and stimulation of the participation of innovative companies including SMEs in FP7”) და მისი ბიუჯეტი განისაზღვრა 21 000 ევროთი;
- საპილოტე პროექტი: ”ბიზნე-ინკუბატორების საჭიროება საქართველოში გამოყენებითი მეცნიერების განვითარებისა და უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხის ასამაღლებლად”, მაშავის ფონდი, 5 000 აშშ დოლარი;
- საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ კავკასიის რეგიონის ინტეგრაციის პერსპექტივები ევროპულ სივრცეში“, 2012 წლის 5-6 მაისი, თბილისის მერია.
- ბიუჯეტი – 20 373 ლარი;

- “სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად”, პროექტის პარტნიორები: ბრიტანეთის საბჭო, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი. ბიუჯეტი – 10 000 ლარი;
- 2013 წელს TEMPUS V ფარგლებში გრანტი ევროპისა და საქართველოს უნივერსიტეტების (CU, GAU, TSU, UNWE, OVGU and ETUI) მიერ 1200000 ევროს ბიჯეტით ახალი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის და აკადემიური პერსონალის განვითარებისთვის: „ Master Programme in European Integration and Human Resources Development” Joint project with EU partner Universities „
- 2014 წლიდან ხარისხის და განათლების პრომოუშენი საქართველოსა და სომხეთში: „Promoting Quality and Recognition of Transnational Education in Armenia and Georgia“-544326-Tempus-1-2013-1-AM-Tempus-SMGR

კავკასიის უნივერსიტეტის სკოლები, უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტთან შეთანხმებით ყოველწლიურად მართავენ შიდა სასკოლო, სამეცნიერო კონფერენციებს. კონფერენციებში მონაწილეობას ღებულობენ კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები. კავკასიის უნივერსიტეტის ყოველი წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტს საშუალება მიეცა, რომ სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისა და თანადაფინანსების მიზნით გაზარდოს თანხები, რომლებიც მოხმარდება სამეცნიერო სამუშაოებზე და კვლევით საქმიანობაზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების ბეჭდვას, შიდასაუნივერსიტეტო თუ საერთაშორისო კონფერენციებს და პროფესორ-მასწავლებლების მივლინებას საზღვარგარეთ გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე მონაწილეობის მისაღებად.

უნივერსიტეტმა მოამზადა და დონორებს დასაფინანსებლად წარუდგინა შემდეგი სამეცნიერო პროექტების განაცხადები:

- "Establish a Competence Center in Tbilisi", ფონდი: აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტი (EWMI G-PAC);
- ბიუჯეტი – 79 362.71 აშშ დოლარი;
- "Management in Introduction, Basic Theories, Concepts and Practical Approaches", Text book, ბიუჯეტი 10.00 აშშ დოლარი (G-PAC);
- „საპილოტე პროექტი ვირტუალური ბიზნეს–ინკუბატორების შესაქმნელად“, ევრაზიის საპარტნიორო ფონდი;
- ბიუჯეტი – 129 509 ლარი;
- საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია „ინოვაციური განვითარება, როგორც ევროინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი პირობა“, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი,
 - ბიუჯეტი – 28 730 ლარი;
- პროექტი: “Renewable energy and energy effectiveness in Georgia”, გერმანიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
- ბიუჯეტი: 12 000 ევრო;

- Security through democracy or security through stability? Mapping EU strategy for South Caucasus,
- პროექტი წარდგენილია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

2013 წლის ერაზმუს მუნდუსისა და ტემპუსის საგრანტო კონკურსის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტი მონაწილეობს შემდეგი პროექტების კონსორციუმებში (თითოეული პროექტის ბიუჯეტი მერყეობს 40 000-60 000 ევროს ფარგლებში).

1. Erasmus Mundus Partnership for Enhanced Academic Cooperation;
2. Program for student early employability based on practice-oriented knowledge [PEAK];
3. Modernization of Development Studies (MoDS);
4. U PLA-NET: Enterprises connected with Universities for quality student PLAcements NETworks in Georgia, Armenia and Azerbaijan;
5. University Network for Innovation and Entrepreneurship Development – UNITED;
6. Global Multinational Undergraduate Team Work - G-MUTW;
7. Modernization of University International Relations management in Eastern Region (MIREAR);
8. Advancing Professional Support Services for Academics in Georgia (PASSAGE);
9. Master program in sustainable energy engineering and management: curricula development (MaSEEM);
10. Constructing the European Identity: The Humanities as a Means of Social Innovation (CEIHMSI);
11. Universities as Corporate Stakeholders: Leveraging from CSR Strategies to Build Partnership (CSR-STAKE);
18. "Creation of the Graduate Curriculum in Peace Studies in Georgia" (PESTUGE).

თავი IV - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები

კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევარების ან მასწავლებლების კვალიფიკაციის შესაბამისობას დაკავებულ თანამდებობასთან ადგენს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ ბრძანებით დანიშნული საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, კონკურსის ჩატარების დადგენილი წესის შესაბამისად. კავკასიის უნივერსიტეტში 2014 წლის მონაცემით მოღვაწეობს: 49 პროფესორი; 60 ასოცირებული პროფესორი, 7 ასისტენტ პროფესორი და 70 ასისტენტი.

უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო -20, სამაგისტრო-18 და სადოქტორო -3 აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს და აკადემიურ თანამდებობებზე არის 49 პროფესორი, 60 ასოცირებული პროფესორი, 7 ასისტენტ პროფესორი და 70 ასისტენტი, სულ 186. აღნიშნულ პროგრამებზე აქტიური და პასიური სტუდენტების ჯამია - 2716. მათ შორის აქტიური სტუდენტია - **2027**, ხოლო პასიური -

689. შესაბამისად სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობის პროპორცია ამ შემთხვევაში ტოლია 2716/116=23,48-ის. აქტიური სტუდენტების რაოდენობის სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობის პროპორცია ტოლია 2027/116=17.5 დაწესებულების სტუდენტების რაოდენობა: 2716

თავი V ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

კავკასიი უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, რომელიც აკონტროლებს სასწავლო და კვლევითი პროცესის ხარისხის და ხელს უწყობს მის განვითარებას. ის შეიმუშავებს, სასწავლო და კვლევითი პროცესების ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, გეგმავს შეფასების პერიოდულობას, შემდეგ აფასებს როგორც სასწავლო, ასევე კვლევით პროცესებს და მოპოვებული მონაცემების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და კვლევითი პროცესების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხარისხის შიდა შეფასება ხდება შემდეგი პარამეტრების მიხედვით: საგანმანათლებლო პროგრამები; სამეცნიერო საქმიანობა; სასწავლო პროცესი; აკადემიური პერსონალი; ადმინისტრაციული პერსონალი და უმაღლესი საგანმანათლებლო სამსახურის ყველა სტრუქტურა, მათ შორის, სტუდენტთა ხელშეწყობის სამსახური, ბიბლიოთეკა და ა.შ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული გეგმის, ორგანიზაციული სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისობა მის მისიასთან. უზრუნველყოფს უნივერსიტეტში შემუშავებული პროგრამების შინაარსობრივ და სტრუქტურულ გამართულობას. შემუშავებულია სპეციალური ფორმები და ინსტრუქციები როგორც პროგრამებისა და სილაბუსებისთვის. ასევე შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები, რის საფუძველზეც იწერება დასკვნა და რეკომენდაციები. პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს მიეწოდება რეკომენდაციები შესატანი ცვლილებების შესახებ. პროგრამის შესწორებული სახით წარმოდგენის შემდეგ ხდება მისი საბოლოო დამტკიცება. “დეპარტამენტი” იყენებს შეფასების შემდეგ მექანიზმებს: სკოლის თვითშეფასება; სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვები; მიზანმიმართული კვლევა; პროგრამის შეფასების კრიტერიუმები.

კავკასიის უნივერსიტეტი 2014 წლიდან ჩართულია ევროკავშირის TEMPUS პროექტში (2014-2017) უნივერსიტეტებში ხარისხის სამსახურების განვითარების შესახებ. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ხარისხის ინსტრუქციების ელექტრონული ბაზების შემუშავება ასევე პერსონალის გადამზადება და ტრენინგი ევროპული სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით.

თავი VI აკადემიური პროგრამები და მათი განვითარება

კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი საჯარო და გამჭვირვალეა. პროგრამის განვითარებაში, მონაწილეობდნენ დაინტერესებული მხარეები: პროგრამის ხელმძღვანელები, სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებასა და განვითარებაში ასევე ჩართული არიან უნივერსიტეტის შემდეგი ერთეულები: ვიცე პრეზიდენტი; და მონიტორინგის დეპარტამენტი; სტუდენტთა რეგისტრაციისა და სწავლების მართვის სამსახური. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. ასევე ასახულია პროგრამის კურიკულუმში. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები, თანამშრომლობითი სწავლება; ევრისტიკული მეთოდი; შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. სკოლების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პროფესორის მეთოდური ოსტატობის შემდგომ სრულყოფას, ძირითადად უცხოელი სპეციალისტების დახმარების და საზღვარგარეთ მათი სტაჟირების გზით. ამ მიმართებით განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მიმართულების ხელმძღვანელებს/სრულ პროფესორებს. სუდენტებისა და პროგრამების ხელმძღვანელების მიერ პერიოდულად მიდინარეობს პროფესორ-მასწავლებელთა სწავლების მეთოდოლოგიის შეფასება.

პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელი მუშაობის დროს; გ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; დ) სასწავლო-პრაქტიკულ ნაშრომზე მუშაობას; ე) სასწავლო-პრაქტიკული ნაშრომის დაცვას; ვ) სხვა სახის სასწავლო საქმიანობას საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება. კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. ყველაზე ხშირად გამოყენებული შეფასების ფორმებია: ზეპირი, წერითი (ტესტი, კაზუსი, ღია კითხვები, ესე და ა.შ) გამოკითხვა, ჯგუფური/ინდივიდუალური დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შუალედური, დასკვნითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების

ფორმებს და კრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. შეფასების კომპონენტები მითითებულია თითოეული კურსის სილაბუსში და მიმართულია იმავე სილაბუსში მითითებული სწავლის შედეგების (კომპეტენციების) შემოწმებისკენ. კერძოდ აქტიურობის კომპონენტი ასახავს სასემინარო დისკუსიებში მონაწილეობის სიხშირესა და ხარისხს; პრეზენტაციის კომპონენტის ფარგლებში ფასდება საკითხის ცოდნა, კრიტიკული ანალიზის უნარი, ინტერაქციულობა და ვიზუალიზაციის ხერხების გამოყენების უნარი; რეფერატის კომპონენტით მოწმდება მოძიებული და დამუშავებული ინფორმაციის ცოდნა და მისი გადმოცემის უნარი; ტესტის კომპონენტით ფასდება კონკრეტული საკითხების ცოდნა; გამოცდის კომპონენტით ფასდება საკითხის ცოდნა, ინფორმაციის გაცნობიერებისა და გააზრების ხარისხი.

პროგრამებში გამოყენებულია შეფასების ის ფორმები და კრიტერიუმები, რაც კავკასიის უნივერსიტეტში ზოგადად აპრობირებულია ამ სასწავლების დაარსებიდან დღემდე. აკადემიური რეგულაციები სრულყოფილებას განიცდის. ის გარკვეულ რედაქტირებას ექვემდებარება ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებისას; ქვეყნდება ვებ-გვერდზე, იბეჭდება “სტუდენტური ცნობარისა” და “ლექტორის ცნობარის” სახით. აკადემიური რეგულაციები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოს სილაბუსების ელექტრონულ ვერსიებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები. კურსის მიმდინარეობის მანძილზე სტუდენტს საშუალება აქვს, თვალი ადევნოს თავის მიმდინარე შეფასებებს, იქონიოს ”ონლაინ” კონტაქტი ლექტორთან და დროული რეაგირება მოახდინოს მიღწეულ შედეგებზე. მეცადინეობების ბოლო, მესამე საათი იძლევა ლექტორსა და სტუდენტს შორის ეფექტური და იოლი კომუნიკაციის შესაძლებლობას, რაც ლექტორებს საშუალებას აძლევს, უკუკავშირის გზით იყვნენ აკადემიურად ადექვატურნი, გაუკეთონ კომენტარი სტუდენტის მომზადების დონეს, მოახდინონ ანალიზი საკუთარი საქმიანობისა სტუდენტთა უკიდურესად დაბალი, ან უკიდურესად მაღალი შეფასებისას.

უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვის და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური, რომლის ფუნქციაა სტუდენტისთვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა; სტუდენტისთვის სხვადასხვა ცნობების გაცემა; მისთვის კონსულტაციის გაწევა; სტუდენტთა განცხადებების მიღება და მათზე რეაგირება; სტუდენტთათვის სასწავლო პროცესში შექმნილი პრობლემების მოგვარება სკოლისა და საუნივერსიტეტო ადმინისტრაციის შესაბამის სამსახურებში.

თავი VII საერთაშორიო ურთიერთობები და ინტეგრაცია

კავკასიის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყველაზე ხელშესახები მიღწევა არის მამტაბური ინტეგრირება მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზარზე. კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლაში უშუალოდ სასწავლო პროცესში დიდი მოცულობით გამოიყენება უცხოენოვანი ლიტერატურა, შემოთავაზებულია საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე). სტუდენტს საშუალება აქვს გაიაროს ინგლისურად საგნებიც. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია უცხოენოვანი ელექტრონული ბიბლიოთეკა; ბევრი სალექციო კურსი იკითხება უცხოეთიდან მოწვეული ლექტორების მიერ. ყოველივე ზემოაღნიშნული კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტების მზაობას, თავისუფლად მიიღონ მონაწილეობა გაცვლით ან ორმაგი ხარისხის აკადემიურ პროგრამებში. კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლა ამზადებს შეთანხმებებს ბოსტონისა და ჯორჯიის უნივერსიტეტებთან, რათა სტუდენტებს შესთავაზონ გაცვლით პროგრამები და შესაძებელია სწავლა განაგრძონ მე-2 წლიდან. ამჟამად, კავკასიის უნივერსიტეტი, მეორე, მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს შემდეგ უნივერსიტეტებში: ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ამერიკა; ფორცაიმის უნივერსიტეტი - გერმანია; პარიზის ბიზნესის სკოლა - საფრანგეთი; კლერმონის ბიზნესის უმაღლესი სკოლა - საფრანგეთი; დანკერკის უმაღლესი ბიზნესის ინსტიტუტი - საფრანგეთი; ვილნიუსის უნივერსიტეტი - ლიტვა; ესტონეთის ბიზნესის სკოლა - ესტონეთი; ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი - ესტონეთი; კიპროსის უნივერსიტეტი - კიპროსი; სტეიერის ზემო ავსტრიის უნივერსიტეტი - ავსტრია; რიგის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საერთაშორისო სკოლა - ლატვია; რიგის ტექნიკური უნივერსიტეტი - ლატვია; აჯოუს უნივერსიტეტი - სამხრეთ კორეა; სტამბულის ბილგის უნივერსიტეტი - თურქეთი; კოლეგიუმ სივიტას - პოლონეთი; ლისაბონის უნივერსიტეტი - პორტუგალია. პროგრამაში ჩართული არიან როგორც აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული სპეციალისტები. აკადემიურ პერსონალში შემავალ ლექტორთა უმრავლესობას განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ სასწავლებლებში, დამთავრებული აქვთ სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამები, გავლილი აქვთ სეროიზული პროფესიული სასერთიფიკატო კურსები და მონაწილეობდნენ სეროიზულ სიმპოზიუმებსა და სამეცნიერო კომფერენციებზე.

თავი VII ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტში პროგრამების უზრუნველყოფისთვის წინასწარი ფინანსური გათვლებით შედგენილია ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის წყარო, რაც ასახულია კავკასიის უნივერსიტეტის წლიურ ბიუჯეტებში წლის ერთიან ბიუჯეტში. უნივერსიტეტის შინაგანაწესი კრძალავს ფინანსურად არაუზრუნველყოფილი პროგრამების განხორციელებას. პროგრამების უზრუნველყოფის ძირითადი წყარო არის სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასური, რაც სრულად

უზღუნველყოფს პროფესორ მასწავლებელთა, ადმინისტრაციის წევრების სახელფასო ანაზღაურებას, პროგრამისთვის საჭირო პირდაპირი დანახარჯების დაფარვას და სხვადასხვა კომუნალურ ხარჯებს. უნივერსიტეტი ასევე ახდენს ფინანსური რესურსის აკუმულირებას საერთაშორისო დონორებთან და ადგილობრივ ფონდებთან საპროექტო განაცხადების წარდგენით.

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის წევრები

კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, სკოლების დეპარტამენტების გუნდური მუშაობის პროდუქტი. მის შემუშავებაზე მუშაობდნენ: კახა შენგელია, ნუგზარ სხირტლაძე, გურამ ლეჟავა, ხატია გოგლიძე, შალვა მაჭავარიანი, ნინო ჩუბინიძე, მათა გონაშვილი, ბუბა ლეჟავა, ზაზა მარუაშვილი, ნინო ჟიჟილაშვილი, გიორგი დათუკიშვილი, სერგი კაპანაძე, ხატია დეკანოიძე, ვატო სურგულაძე, მათა სიდამონიძე, მარიამ ნიკოლაიშვილი, მარიამ სუთიძე, ელენე ჯღარკავა, მაკა ციბაძე, თამარ შენგელია, ნიკოლოზ კვანტალიანი, ირმა კუხიანიძე.